განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ლინგვისტიკა/Linguistics**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**პირველი ნაწილი:** ლინგვისტიკის მაგისტრი/Master of Linguistics **მეორე ნაწილი:** კვლევის ლინგვისტიკის მაგისტრი/Research Master in Linguistics
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	მამია ფაღავა, პროფესორი - mamia.phagava@bsu.edu.ge მაია ბარამიძე, პროფესორი - maia.baramidze@bsu.edu.ge თემურ ავალიანი, ასოცირებული პროფესორი - temur.avaliani@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTSმოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	**პირველი ნაწილი** - 60 ECTS **მეორე ნაწილი** - 60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პირველი ნაწილი** ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **მეორე ნაწილი** ✓ პროგრამის I ნაწილის დასრულება; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და უცხოური განათლების მქონე პირთა ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პირველი ნაწილი** ✓ ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ენის სტრუქტურის, ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ონომასიოლოგიის, ტექსტის ლინგვისტიკის, ფუნქციური სტილისტიკის, მწერლის ენისა და სტილის კვლევის საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა. ✓ ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების შესწავლის მნიშვნელობის გაცნობიერება; ენის კულტუროლოგიური ასპექტების ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში გააზრება, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჰუმანიტარული სფეროს გამოწვევების შეფასება და საკითხისადმი ინტერდისციპლინური მიდგომა. ✓ ჩამოაყალიბოს უნივერსიტეტის მისიიდან და დამსაქმებლების ინტერესებიდან გამომდინარე თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის და მუშაობის უნარს, ავლენს მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას და როგორც საზოგადოების თავისუფალი პიროვნება, ეყრდნობა ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ღირებულებების პრინციპებს. **მეორე ნაწილი** ✓ ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ენის სტრუქტურის, ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ონომასიოლოგიის, ტექსტის ლინგვისტიკის, ფუნქციური სტილისტიკის, მწერლის ენისა და სტილის კვლევის საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა. ✓ სამეცნიერო კვლევისათვის დარგის თანამედროვე მეთოდების (მათ შორის ენობრივ მონაცემთა ციფრული დამუშავების) უპირატესობის გააზრება; ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების შესწავლის მნიშვნელობის გაცნობიერება; ენის კულტუროლოგიური ასპექტების ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში გააზრება, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჰუმანიტარული სფეროს გამოწვევების შეფასება და საკითხისადმი ინტერდისციპლინური მიდგომა; ✓ საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული წერის პრინციპების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დაცვით სამეცნიერო კვლევის დაგეგმვა-წარმართვა; ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, დაცვის და ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნების პასუხისმგებლობა.

	✓ ჩამოაყალიბოს უნივერსიტეტის მისიიდან და დამსაქმებლების ინტერესებიდან გამომდინარე თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, ავლენს მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, და, როგორც საზოგადოების თავისუფალი პიროვნება, ეყრდნობა ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ღირებულებების პრინციპებს.
სწავლის შედეგები	**პირველი ნაწილი** ✓ ავლენს ქართველური ენათმეცნიერების ღრმა და სისტემურ ცოდნას; ფლობს ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხებს; იცის ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების ფონეტის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ქართველური დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხები. ✓ აცნობიერებს ლინგვისტური პრობლემების გადაჭრის გზებს. ✓ საფუძვლიანად მსჯელობს ქართული ენათმეცნიერების საკითხებზე, სიღრმისეულად აანალიზებს და გადმოსცემს ქართულის და/ან მასთან ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ქართველური დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხებს. ✓ სხვადასხვა სასწავლო და საქმიან გარემოში მუშაობს ინდივიდუალურად და გუნდურად, მათ შორის განსაზღვრულ ვადებსა და ინტენსიურ რეჟიმშიც; ✓ პატივს სცემს ქართულს, როგორც სახელმწიფო ენასა და ქართველურ ენობრივ მრავალფეროვნებას, ტოლერანტულია ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ. *მეორე ნაწილი* ✓ ავლენს ქართველური ენათმეცნიერების ღრმა და სისტემურ ცოდნას; ფლობს ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხებს; იცის ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ქართველური დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხები. ✓ სიღრმისეულად განიხილავს ლინგვისტური კვლევის სხვადასხვა ასპექტს, ენობრივ ვარიაციას, ენის ცვლილებასა და მის როლს საზოგადოებაში. ✓ იყენებს ქართულის და/ან მასთან ერთად მეგრულის, ლაზურის, სვანურის სტრუქტურულ კომპონენტებს; სიღრმისეულად ფლობს საანალიზო მასალის შეგროვება-დამუშავების მეთოდებს; ✓ ამჟღავნებს ქართული ენობრივი მოვლენებისა და ფაქტების კვლევის, დამუშავებისა და ანალიზის უნარს, წვლილი შეაქვს აღნიშნულ სფეროთა დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში;

	✓ ქმნის გამართული სტრუქტურის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებითი აკადემიური სტანდარტების შესაბამის ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომს; კვლევისას იყენებს უახლეს ლინგვისტურ მეთოდებსა და მიდგომებს, ითვალისწინებს თეორიულ დისკურსებს; მიზნობრივად სარგებლობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსებით. ✓ სხვადასხვა სასწავლო, საქმიან და საკვლევ გარემოში მუშაობს ინდივიდუალურად და გუნდურად, მათ შორის განსაზღვრულ ვადებსა და ინტენსიურ რეჟიმშიც; ✓ პატივს სცემს ქართულს, როგორც სახელმწიფო ენასა და ქართველურ ენობრივ მრავალფეროვნებას, ტოლერანტულია ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ.